ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-15. 15232022**

თარიღი:**21/07/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 12 ივლისის N4200/02 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექვსი ერთეული ავტობუსი, შემდგომში, ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით:

1.1. მარკა-ISUZU; მოდელი-CITIBUS; საიდენტიფიკაციო ნომერი-NNAM0BULT02002260, გამოშვების წელი-2023; სარეგისტრაციო ნომერი-SX967XS, საბალანსო ღირებულებით 496 800 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ლარი;

1.2. მარკა-ISUZU; მოდელი-CITIBUS; საიდენტიფიკაციო ნომერი-NNAM0BULT02002261 გამოშვების წელი-2023; სარეგისტრაციო ნომერი-LL968PL, საბალანსო ღირებულებით 496 800 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ლარი;

1.3. მარკა-ISUZU; მოდელი-CITIBUS; საიდენტიფიკაციო ნომერი-NNAM0BULT02002259; გამოშვების წელი-2023; სარეგისტრაციო ნომერი-SX965XS, საბალანსო ღირებულებით 496 800 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ლარი;

1 .4 . მარკა-ISUZU; მოდელი-CITIBUS; საიდენტიფიკაციო ნომერი-NNAM0BULT02002263; გამოშვების წელი-2023; სარეგისტრაციო ნომერი-SX966XS, საბალანსო ღირებულებით 496 800 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ლარი;

1.5. მარკა-ISUZU; მოდელი-NOVOCITI LIFE; საიდენტიფიკაციო ნომერი-NNAM0BFLAGB000894, გამოშვების წელი-2021; სარეგისტრაციო ნომერი-UU325SU, საბალანსო ღირებულებით 319 036 (სამას ცხრამეტი ათას ოცდათექვსმეტი) ლარი;

1 .6 . მარკა-ISUZU; მოდელი - NOVOCITI LIFE; საიდენტიფიკაციო ნომერი - NNAM0BFLAGB000861, გამოშვების წელი-2021; სარეგისტრაციო ნომერი - UU343SU, საბალანსო ღირებულებით 321 738 (სამას ოცდაერთი ათას შვიდასოცდათვრამეტი) ლარი;

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თითოეული ავტობუსის საბალანსო ღირებულებიდან 200 (ორასი) ლარი შეადგენს მარეგისტრირებელ ორგანოში (სსიპ “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო”) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის საფასურს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი